



## შპს „მშენ-ექსპერტი +“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის: ქ. თბილისი, გიორგი შიროტაძის ქუჩა,  
№6, სართული 3, ბინა №4



## შპს „მშენ-ექსპერტი+“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

# შინაარსი:

## ფინანსური ინფორმაცია

|                                                           |      |
|-----------------------------------------------------------|------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----                  | 3-4  |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- | 5    |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----          | 6    |
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----                       | 7-24 |

| შპს მშენ-ექსპერტი+<br>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის<br>(ლარში) |          |                   |                   |
|--------------------------------------------------------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
|                                                                                            | შენიშვნა | 2024              | 2023              |
| <b>აქტივები</b>                                                                            |          |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                                                               |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                                                                       | 4        | <u>209269.00</u>  | <u>202665.00</u>  |
| არამატერიალური აქტივები                                                                    | 5        | <u>500.00</u>     | <u>-</u>          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                                                           |          | <b>209769.00</b>  | <b>203165.00</b>  |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                                                               |          |                   |                   |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები                                                 | 6        | <u>420786.00</u>  | <u>596581.00</u>  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები                                                    | 7        | <u>536700.00</u>  | <u>405970.00</u>  |
| მარაგები                                                                                   | 8        | <u>3330.00</u>    | <u>9995.00</u>    |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები                                                            |          | <u>17585.00</u>   | <u>23242.00</u>   |
| წინასწარ გადახდილი ავანსები                                                                |          | <u>18030.00</u>   | <u>15266.00</u>   |
| საბანკო გარანტიები                                                                         |          | <u>57700.00</u>   | <u>43250.00</u>   |
|                                                                                            |          |                   | =                 |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                                                           |          | <b>1054131.00</b> | <b>1094304.00</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                                                        |          | <b>1263900.00</b> | <b>1297469.00</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                                                                    |          |                   |                   |
| <b>სააქციო კაპიტალი შპს-ში</b>                                                             |          |                   |                   |
| გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)                                                    |          | <u>983651.00</u>  | <u>980352.00</u>  |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                                                        |          | <b>983651.00</b>  | <b>980352.00</b>  |

|                                |   |                  |                  |
|--------------------------------|---|------------------|------------------|
| ვალდებულებები                  |   |                  |                  |
| მოკლევადიანი ვალდებულებები     |   |                  |                  |
| მიღებული ავანსები              | 9 | <u>99623.00</u>  | <u>127584.00</u> |
| საგადასახადო ვალდებულებები     |   | <u>180626.00</u> | <u>189533.00</u> |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები |   | 280249.00        | 317117.00        |
| სულ ვალდებულებები              |   | 280249.00        | 317117.00        |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები  |   | 1263900.00       | 1297469.00       |

დირექტორი:

|                                                                                                  |          |                   |
|--------------------------------------------------------------------------------------------------|----------|-------------------|
| შპს "მშენ-ექსპერტი"                                                                              |          |                   |
| მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის დასრულებული წლისათვის<br>(ლარში) |          |                   |
|                                                                                                  | შენიშვნა | 2024              |
| ამოწაგები                                                                                        | 10       | 5421725.00        |
| <b>საერთო მოგება</b>                                                                             |          | <b>5421725.00</b> |
| სხვა შემოსავლები                                                                                 |          | 0                 |
| მიწოდებისა(მომსახურების)მარკეტინგის დანახარჯები                                                  | 11       | (89302.00)        |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი                                                                  | 12       | (3054092.00)      |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                                                          |          | (228614.00)       |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                                         |          | <b>2049717.00</b> |
| ფინანსური შემოსავალი                                                                             |          |                   |
| ფინანსური ხარჯი                                                                                  |          |                   |
| წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება                                                                    | 13       | 861.00            |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                                                        |          | <b>2050578.00</b> |
| მოგების გადასახადი                                                                               | 14       | (308299.00)       |
| <b>წმინდა მოგება</b>                                                                             |          | <b>1742279.00</b> |
| <b>სხვა სრული შემოსავალი:</b>                                                                    |          |                   |
| გადაფასების რეზერვი                                                                              |          |                   |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>                                                                  |          | <b>1742279.00</b> |

დირექტორი:

|                                            |                       |                        |                         |                     |
|--------------------------------------------|-----------------------|------------------------|-------------------------|---------------------|
| შპს "მშენ-ექსპერტი"                        |                       |                        |                         |                     |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება |                       |                        |                         |                     |
| (ლარში)                                    |                       |                        |                         |                     |
|                                            | საწესდებო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი<br>კაპიტალი |
| 2023 წლის 31 დეკემბერი                     |                       |                        | 980352.00               | 980352.00           |
| წმინდა მოგება                              |                       |                        | 1742279.00              | 1742279.00          |
| სხვა სრული შემოსავალი                      |                       |                        |                         |                     |
| პერიოდის სრული<br>შემოსავალი               |                       |                        | 2722631.00              | 2722631.00          |
| გაცემული დივიდენდი                         |                       |                        | (1738980.00)            | (1738980.00)        |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა                   |                       |                        |                         |                     |
| 2024 წლის 31 დეკემბერი                     |                       |                        | 983651.00               | 983651.00           |

დირექტორი:

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მშენ-ექსპერტი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2020 წლის 17 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 406304896 კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი გუდარეხის შესახვევი #23 ფაქტიური მისამართია თბილისი დილმის მას გვგვგორპუსის წინ 2სართულიანი შენობა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საექსპერტო საქმიანობა სამშენებლო სფეროში. „მშენ-ექსპერტი“ არის A ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ17020-2012/20113-ის მოთხოვნების შესაბამისად თანდართულსფეროში.მას მიენიჭაგანმეორებითი აკრედიტაცია 2025 წლის 9 თებერვლიდან.კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება,ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადვეკვატურობის ინსპექტირება დადგენილ მოთხოვნებთან,საშუალო საბაზრო ფასებთან საჭიროების შემთხვევაში პროექტებთან. ობიექტის შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება(მათ შორის ფორმა2-ის მიხედვით) შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხოვო დოკუმენტებთან. პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება ,პროექტის შრომის უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთანშესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.

2024 წლის 31 დეკემბრისა და1 იანვრის მდგომარეობითკომპანიის წილის მფლობელები არიან: ნინო ბლიაძე (01020015570) -40%,ალექსანდრე ჭიპაშვილი(01020006249)- 30%ბექა ქიტიაშვილი(01022094630)-30%,კომპანიის დირექტორია ალექსანდრე ჭიპაშვილი.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის თანამშრომლების საშუალო რაოდენობა არის სულ 44ადამიანი.

## 2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

**პრეზენტაციის საფუძვლები** თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ის ) შესაბამისად. კომპანია აწარმოებს საბუღალტრო ჩანაწერებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის

შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიში მომზადდა ამ საბუღალტრო ჩანაწერების საფუძველზე და შეესაბამება მსს ფასს -ის მოთხოვნებს. კომპანიის ფინანსური წლის ბოლო არის 31 დეკემბერი.

## ფინანსური ინსტრუმენტები

### ტერმინების განმარტებები:

**აქტივის თვითღირებულება** არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

**ამორტიზებადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

**ცვეთადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

### ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

### სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან,

ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

## **ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე .

## **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

## **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს

პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

### **ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ავანსების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეცხადებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

### **ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე გარანტიების მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

### **გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

## ძირითადი საშუალებები

### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

### ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|----------------------------|--------------------------------------|
| მანქანა დანადგარები        | 5-10 წელი                            |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 5-10 წელი                            |
| კომპიუტერული ტექნიკა       | 5-8 წელი                             |
| ავტომობილები               | 8-10 წელი                            |

## არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ ტექნიკური ლიტერატურა სამშენებლო სფეროს (5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

## მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება შეძენის ფასის საშუალო ღირებულების მეთოდით.

## დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

## შემოსავალი

მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს მოსახურებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც მოსახურების საექსპერტო ყველა დასკვნა გადაეცემა მყიდველს.

## **ხარჯების აღიარება**

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურებასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## **სახელფასო განაცემები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## **ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში,

თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

## **შეფასებისა და წარდგენის ვალუტა**

### **(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა**

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

### **(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი**

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბერს და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

**საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი**

| პერიოდი                          | დოლარი | - |
|----------------------------------|--------|---|
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,6894 |   |
| კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.8068 |   |

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია გაუფასურებელი მოთხოვნები.

• სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო

პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

#### 4. ძირითადი საშუალებები

| შენიშვნა - 4                        |                     |                         |        |                          |                                       |           |
|-------------------------------------|---------------------|-------------------------|--------|--------------------------|---------------------------------------|-----------|
| ძირითად საშუალებები                 |                     |                         |        |                          |                                       |           |
|                                     | მანქანა-დანადგარები | ავეჯი და სხვა ინვენტარი | შენობა | სატრანსპორტო საშუალებები | კომპიუტერი, ტექნიკა, ოფის აღჭურვილობა | ჯამი      |
| ლარი                                |                     |                         |        |                          |                                       |           |
| 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით        | -                   | 82577.00                | -      | 108089-                  | 38779                                 | 229445.00 |
| შესყიდვა                            |                     | 30717.00                | -      | -                        | -                                     | 30717.00  |
| გასვლა                              |                     |                         |        |                          |                                       |           |
| გაუფასურება                         |                     |                         | -      |                          |                                       | -         |
| შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია         |                     |                         |        |                          |                                       |           |
| გადაფასების რეზერვი                 |                     |                         |        |                          |                                       |           |
| 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით        |                     | 113294.00               | -      | 108089                   | 38779                                 | 260162.00 |
| დაგროვილი ცვეთა                     |                     |                         |        |                          |                                       |           |
| 2023წლის ბოლოს მდგომარეობით         |                     | 18543.00                | -      | -                        | 8237.00                               | 26780.00  |
| ცვეთის ხარჯი 2024                   |                     | 13474.00                | --     | 7043                     | 3596.00                               | 24113.00  |
| გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა 2024 |                     |                         | -      | -                        |                                       | -         |
| 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით        |                     | 32017.00                |        | 7043                     | 11833.00                              | 50893.00  |
| საბალანსო ღირებულება                |                     |                         |        |                          |                                       |           |
| 2023 წლის ბოლოს                     |                     | 64034.00                | -      | 108089                   | 30542.00                              | 202665.00 |

|                 |          |        |          |           |
|-----------------|----------|--------|----------|-----------|
| 2024 წლის ბოლოს | 81277.00 | 101046 | 26946.00 | 209269.00 |
|-----------------|----------|--------|----------|-----------|

5. არამატერიალური აქტივები

|                                |                                      |             |
|--------------------------------|--------------------------------------|-------------|
| <b>შენიშვნა - 5</b>            |                                      |             |
| <b>არამატერიალური აქტივები</b> |                                      |             |
| <b>ლარი</b>                    | <b>სამეცნიერო ჟურნალი ლიტერატურა</b> | <b>ჯამი</b> |
| 2023 წლის ბოლოს                | 500                                  | 500         |
| შემოსავლა                      | -                                    | -           |
| გასვლა                         | -                                    | -           |
|                                | 500.00                               | 500.00      |
|                                | <b>სამეცნიერო ჟურნალი ლიტერატურა</b> | <b>ჯამი</b> |
| <b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>   |                                      |             |
| 2023 წლის ბოლოს                | -                                    | -           |
| პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი    | -                                    | -           |
| გასულის დაგროვილი ამორტიზაცია  | -                                    | -           |
| 2024 წლის ბოლოს                | -                                    | -           |
| <b>საბალანსო რირებულება</b>    |                                      |             |
| 2023 წლის ბოლოს                | 500.00                               | 500.00      |
| 2024 წლის ბოლოს                | 500.00                               | 500.00      |

## 6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| შენიშვნა - 6                               |          |            |            |
|--------------------------------------------|----------|------------|------------|
| ფინანსური აქტივები                         |          |            |            |
| ლარი                                       |          |            |            |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | შენიშვნა | 31.12.2024 | 31.12.2023 |
| ფული საბანკო ანგარიშზე                     | 6        | 420786.00  | 596581.00  |
|                                            |          | 420786.00  | 596581.00  |

## 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| შენიშვნა - 7                            |   | შენიშვნა   |            |
|-----------------------------------------|---|------------|------------|
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები |   |            |            |
| ლარი                                    |   |            |            |
|                                         |   | 31.12.2024 | 31.12.2023 |
| დებიტორული დავალიანების მოთხოვნა        | 7 | 536700.00  | 405970.00  |
|                                         |   | 536700.00  | 405970.00  |

## 8. მარაგები 2024 წლის მდგომარეობით. წარმოდგენილია შემდეგნაირად

| შენიშვნა - 8 | შენიშვნა |
|--------------|----------|
| მარაგები     |          |
| ლარი         |          |

|                                       |                   |                   |
|---------------------------------------|-------------------|-------------------|
| სასაქონლო მატერიალური (სხვა მარაგები) | <u>31.12.2024</u> | <u>31.12.2023</u> |
| 8                                     |                   |                   |
| მარაგები(საკუთარი საჭიროებისთვის)     | 3330.00           | 9995.00           |
|                                       | 3330.00           | 9995.00           |

**9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                            |          |                   |                   |
|--------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>შენიშვნა - 9</b>                        |          |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | შენიშვნა |                   |                   |
| შენიშვნა                                   |          |                   |                   |
| ლარი                                       |          | <u>31.12.2024</u> | <u>31.12.2023</u> |
| სხვა ვალდებულებები(მიღებული ავანსები)      | 9        | 99623.00          | 127584.00         |
| გადასახდელი ხელფასები                      |          |                   |                   |
|                                            |          | 99623.00          | 127584.00         |

## 10. ამონაგები

ამონაგები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|               |                   |
|---------------|-------------------|
| შენიშვნა - 10 |                   |
| ამონაგები     |                   |
| ლარი          |                   |
|               | <u>31.12.2024</u> |
| მომსახურება   | 5421725,00        |
|               | 5421725,00        |

## 11. მიწოდების (მომსახურების) და მარკეტინგის დანახარჯები

მიწოდების(მომსახურების) და მარკეტინგის დანახარჯები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                     |                   |
|-----------------------------------------------------|-------------------|
| შენიშვნა - 11                                       |                   |
| მიწოდების (მომსახურების) და მარკეტინგის დანახარჯები |                   |
| ლარი                                                |                   |
|                                                     | <u>31.12.2024</u> |
| ტრანსპორტირების შენახვის ხარჯები                    | 89302.00          |
|                                                     | 89302.00          |

## 12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                  |                   |
|----------------------------------|-------------------|
| შენიშვნა - 12                    |                   |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი: |                   |
| ლარი                             |                   |
|                                  | <u>31.12.2024</u> |
| ცვეთა და ამორტიზაცია             | 24113             |
| შრომის ანაზღაურება               | 2894434           |
| სოციალური დანარიცხები            | 45343.00          |
| საიჯარო ქირა                     | 144187.00         |
| კომუნიკაციის ხარჯები             | 823.00            |

|                                   |                   |
|-----------------------------------|-------------------|
| კომუნალური ხარჯები                | 15471.00          |
| დაზღვევა პროფესიული               | 1,200.00          |
| აკრედიტაციის ხარჯი                | 99450.00          |
| საბანკო და საგარანტიო მომსახურება | 3794.00           |
| სხვა საერთო ხარჯი                 | 20393 .00         |
| საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა       | 7722.00           |
| საკანცელარიო და ოფისის ხარჯები    | 25776             |
|                                   | <b>3282706.00</b> |

### 13. წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება

წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                   |                   |
|---------------------------------------------------|-------------------|
| შენიშვნა - 13<br>წმინდა სავალუტო<br>ზარალი/მოგება | <u>31.12.2024</u> |
| ლარი                                              |                   |
| წმინდა სავალუტო<br>ზარალი/მოგება                  | 861.00            |
|                                                   | <b>861.00</b>     |

### 14. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                     |                   |
|-------------------------------------|-------------------|
| შენიშვნა - 14<br>მოგების გადასახადი | <u>31.12.2024</u> |
| ლარი                                |                   |
| მოგების გადასახადის<br>ხარჯი        | 308299.00         |
|                                     | <b>308299.00</b>  |

### 1. პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

## 2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წელს დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება წინა წლის და მიმდინარე წლის დივიდენდის განაწილების შესახებ .

ანგარიშგების მომზადების თარიღი 23.09.2025

დირექტორი: